

9(C922)11+ 72(C922)(09)



დემონი გაკვლეული

ქართველი
ლერძო



სახელმწიფო ბიბლიოთეკი

„საბჭოთა სამართლებრი“

თბილისი

1961

საქართველოს იურიდიკული გენგრაფია
სრულყოფი მცენობისას ქულცურის მეცნიერება



ძამის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ძამის ხეობა შიდა ქართლში ერთ-ერთი ლამაზი და ნაყოფიერი ხეობაა, მაგრამ ჯერჯერობით სათანადოდ არაა შესწავლილი და ამის გამო იგი ნაკლებად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა გვავალებს, კარგად ვიცნობდეთ ჩვენი მხარეების ბუნებას, ისტორიულ წარსულს, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და შრომა-საქმიანობას, რომ ყოველივე ამაზე სრული და სწორი წარმოდგენა გვქონდეს.

ამ მხრივ საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი: მან თავის ვრცელ ნაშრომში აღწერა თავისისდროინდელი საქართველოს სამეფო და მოგვცა საყურადღებო ცნობები საქართველოს სხვადასხვა მხარისა და ხეობის შესახებ. ასეთი აღწერა მით უმეტეს საჭიროა დღეს, რადგან ჩვენი ქვეყანა მეტად მრავალფეროვანია და მისი თითოეული ხეობა ჟრთობ თავისებურია რელიეფით, გეოგრაფიული ლანდშაფტით, ბუნებრივი სიმდიდრით, ისტორიული წარსულითა და შრომა-საქმიანობითაც.

ძამის ხეობის ვახუშტისეული აღწერილობა, როგორც ეს მის ავტორს სჩვევია, უაღრესად მოქლე და ლაკონურია:

ვახუშტის გეოგრაფიაში ძამის ხეობის აღწერილობა მხოლოდ /
ერთ გვერდს შეიცავს, მაგრამ ასეთი მცირე მოცულება მარტინ
ტექსტშიც კი იგი ახერხებს აღნუსხოს ძამის ხეობის ყველა
მნიშვნელოვანი ადგილი, ისტორიული ძეგლები და ამ მხარი-
სათვის დამახასიათებელი შრომა-საქმიანობა.

ძამის ხეობა მდებარეობს ქარელის რაიონში. მას ჩამო-
უდის მდინარე ძამა, რომელიც სათავეს თორის მთებში
იღებს. ძამის სათავესთან არის პატარა სოფელი—ძამა. მდი-
ნარე ძამას სოფ. ციხისგვერდასთან უერთდება სათეორის
წყალი, გვერძინეთში კი—აბუხალოს მთიდან გამომდინარე
აბუხალოს წყალი. სოფ. ზღუდერთან ძამას შეერთვის იმერ-
ხევის (ლვანანას) წყალი; შემდეგ იგი მოედინება ქარელის
მიმართულებით და რკინიგზის ხიდთან, სამხრეთით, უერთ-
დება მტკვარს.

ეს ხეობა საკმაოდ განიერია, მდიდარია ტყით, საძოვ-
რებითა და სახნავ-სათესი მიწებით. მოსახლეობა მემინდვრეო-
ბასა და მესაქონლეობას მისდევს. ვახუშტი ძამის ხეობას
საციციანოს მიაკუთვნებს და მის აღწერის ასე იწყებს: „აღ-
წერა საციციანოსი, ხვედურეთ ზეით, დამჩხერლომდე“,
და შემდეგ აღნიშნავს: „ყინცვისის დასავლით არს ძამის
ხეობა, გამოდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჭალამდე
აღმოსავლით, მის ქვეით დის ჩრდილოთ, მიერთვის მტკვარს
სამხრიდან“¹.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941 წ., გვ. 58.



ამგვარად, ვახუშტის ცნობით, ძამის ხეობა შეფილდა ციფრული საციციანოში, ამიტომ ეს საკითხი დაკავშირებულია ფიფრულისთვის თა გვარის ისტორიასთან. ეს გვარი საქართველოს ისტორიაში პირველად ფანასკერტელად იხსენიება, შემდეგში კი— ფანასკერტელ-ციციშვილად. როგორც ცნობილია, ფანასკერტელი ეწოდებოდა ფანასკერტის ციხის მფლობელს. ეს ციხე კი მდებარეობდა ტაოში, საქართველოსა და ბიზანტიის საზღვარზე. ტაოს ბანას წყალი ყოფდა ორ ნაწილად—იმიერ და ამიერ ტაოდ. ამიერ ტაო ეკუთვნიდა საქართველოს, იმერი კი—საბერძნეთს. ფანასკერტი იყო საზღვარზე¹.

ზაზა ფანასკერტელი საქართველოს მეფის—გიორგი VIII (1446—1476) დროს ერთ-ერთ გუჯარში იხსენიება.

გუჯრიდან ირკვევა, რომ ამ დროს ფანასკერტის ერისთავი ყოფილა ზაზა და მას ჰყოლია ძმა ციცი. ზაზა აქ მოხსენებულია მეჭურჭლეთუხუცესად.

ზაზას დროს დაიწყო გამწვავებული ბრძოლა გიორგი VIII-სა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შორის. ათაბაგი ყვარყვარე იბრძოდა—მოეპოვებინა დამოუკიდებლობა გიორგი მეფისაგან. ამ ბრძოლაში გიორგი მეფეს შველოდა მისი ერთგული ერისთავი ფანასკერტელი ზაზა. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ბრძოლაში 1465 წელს გიორგი მეფე დამარცხდა და მისი მოსხრე ზაზაც ყვარყვარეს შიშით იძულებული გამხდარა 1467 წელს ქართლში გადმოსახლებულიყო.

როგორც არსებული საბუთებიდან ირკვევა, ზაზა ფანასკერტელი, რომელიც შიდა ქართლში პირველად 1467 წელს გადმოსახლებულია, აქაური ფანასკერტელ-ციციშვილების მამამთავარი გამხდარა.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნაწ. II, თბ., 1914 წ., გვ. 332.



ფანასკერტელებში სახელი ციცი გავრცელებული იყო. მაგრა უკავშირის როგორც ზაზას მამა-პაპებსა, აგრეთვე მის ძმებსა და მამის შვილებში.

ზაზა ფანასკერტელის ქართლში გადმოსახლების შემდეგ ფანასკერტელობამ თავისი აზრი და მნიშვნელობა დაჰკარგა.

ქართლში გადმოსახლებულ ზაზასათვის მეფეს უბოძებია ძამის ხეობა, საღაც ზაზას ჩაუტარებია საკმაოდ დიდი მშენებლობა, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ციციანთ გვარის მამამთავრის—ზაზა ფანასკერტელის პორტრეტი დღემდე დაცულია ყინწვისის კედლის მხატვრობაში, იგი წარმოდგენილია მშენებლის პოზაში და ხელში უჭირავს ტაძრის გეგმა (მოდელი).

ჩენ არ მოგვეპოვება ისტორიული დოკუმენტები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იყოს იმის დადგენა, თუ რა ხასიათის მშენებლობა ჩაატარა ზაზამ თავის ახალ სამფლობელოში—ძამის ხეობაში. ვა ხუმტი ძამის ხეობის აღწერისას მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „მორეთში არს სასახლე ციციანთაო“ (გვ. 58).

მაგრამ ძამის ხეობაში დაცული ისტორიული ძეგლების შესწავლა და ხალხური გადმოცემები საშუალებას გვაძლევენ ზოგადი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ ზაზასა და მისი მემკვიდრეების მიერ ამ ხეობაში წარმოებულ მშენებლობაზე.

ძამის ხეობის ზაზა ფანასკერტელისათვის გადაცემა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი მოვლენა: ჯერ ერთი, ძამის ხეობა ბორჯომ-გუჯარეთით უერთდებოდა სამხრეთ საქართველოს, საათაბაგოს, საღაც ტაო და ფანასკერტი იყო.



ამ მხრივ ძამის ხეობას ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა შიდა ქართლის თავდაცვის საქმეში და ზაზასაც მექანიზმის შექმლო ურთიერთობა დაემყარებინა თავის ძეველ სამფლობელოსთან—ფანასკერტთან.

შემდეგ, ძამის ხეობა უნდა ყოფილიყო თავისუფალი სამფლობელო, რომელსაც ესაჭიროებოდა გამაგრება და პატრონობა. ეტყობა, ამ მიზნით უბოძა მეფე გიორგი VIII ეს ხეობა მის ერთგულ მსახურს—ზაზა ფანასკერტელს.

ძამის ხეობა რომ ძველად, მე-6—8 საუკუნეებში კეთილ ნაშენსა და მჭიდროდ დასახლებულ ხეობას წარმოადგენდა, ამას მოწმობენ აქ დაცული ისტორიული ნაგებობანი. ასეთია სამწევრისის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც მე-7 საუკუნეს მიეკუთვნება. იგი ნაგებია თლილი ქვით და აქვს ჯვრის ფორმა, თავისი არქიტექტურული ნაგებობითა და გაფორმებით ეს ტაძარი მნიშვნელს დღესაც აოცებს¹.

მეორე ძეგლი, რომელიც იმავე საუკუნეს მიეკუთვნება, არის წრომის ტაძარი. იგი შემქული იყო მოზაიკური მხატვრობით. წრომის ტაძრის მოზაიკას სპეციალისტები სთვლიან მოზაიკური ხელოვნების აღრინდელ ნიმუშად², რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხელოვნების ეს დარგი საქართველოში აღრე განვითარებულა და ძამის ხეობის მოსახლეობაც კულტურის მაღალ დონეზე მდგარა.

¹ В. Беридзе, Архитектура Грузии, М. 1948 г., стр. 29—30.

² А. И. Смирнов. Црмская мозаика, тб., 1935 г., გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936 წ., გვ. 37—51.



სურ. 1. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი.

ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ძამის მონასტრის /
ნაგებობანი, მძრღვეთისა და ძამის ციხე და სხვა. აქვთ შემოწმებული
ლა ქალაქი მძრღვეთიც, რომლის შესახებაც პლატონი ით-
სელიანი მოვითხოობს, რომ ეს ქალაქი მდინარე ძამაზე
113 წელს ააშენა მეფე მირდატმა... ამ ქალაქში ბევრი მცხოვ-
რები ყოფილა, მაგრამ მე-8 საუკუნის ნახევარში იგი მურვან
აბდულ-ყისიმის ძემ აოხრაოւ.

სამწუხაროდ, პლატონი იოსელიანი წყაროებს არ ასა-
ხელებს და ჩვენ საშუალება არა გვაქვს, ამ ცნობის სინამდ-
ვილე შევამოწმოთ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ პერიო-
დის ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას, ძამის ხეობის
ასეთი აოხრება შესაძლებელი იყო: მურვან ყრუმ, როგორც
ცნობილია, მთელი საქართველო ააოხრა, სამცხეშიაც გაი-
ლაშქრა და მას ცეცხლითა და მახვილით უნდა გაევლო ძამის
ხეობა, საიდანაც გზა სამცხეში შედიოდა. მით უფრო, რომ
ეს ხეობა დაცული იყო ისეთი სიმაგრეებით; როგორიც იყო
მძრღვეთისა და ძამის ციხეები. რასაკვირველია, არაბთა ლაშ-
ქარს უბრძოლველად არ შეეძლო გავლა. ეტყობა, არაბებმა
ეს ხეობა დიდი ბრძოლის შემდგი აიკლეს და გააპარტახეს.
ამ აოხრების მომდევნო პერიოდშიც არ დაუკარგავს ძამის
ხეობას თავისი პირვანდელი სტრატეგიული და პოლიტიკური
მნიშვნელობა.

შე-10 საუკუნეში აქ ყოფილა რეზიდენცია ძამის მთავ-

¹ Платон Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, тб., 1850 г., стр. 52 - 53.

რის—ადარნასესი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია საქართველოს სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლაშისათვის

საქართველოს გაერთიანების ხანაში ძამის ხეობას ხელისუფალთა ყურადღება და მზრუნველობა არ მოჰკლებია. ამას მოწმობს ყინწვისის მონასტერი, რომელიც აგებულია მე-12—13 საუკუნეებში. ეს შესანიშნავი ძეგლი ერთგვარი ცენტრი იყო იმ დროის განათლებისა და მწიგნობრობისა. აღსანიშნავია, რომ ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე მთელი ტანით გამოსახული არიან წევორგი III, თამარ მეფე და ლაშა გიორგი. მეფეთა გამოსახულება ყინწვისში უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს მონასტერი ამ მეფეთა ერთგვარი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ეს გარემოებაც ანგარიშგასაწევია და უნდა ვითიქროთ, რომ თამარის დროს ძამის ხეობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში.

მონლოლთა ბატონობის პერიოდში (მე-13—14 საუკ.) ძამის ხეობა, როგორც ზემო და შუა ქართლის დანარჩენი პროვინციები, აოხრებული და გაპარტახებული იყო.

მხოლოდ მე-15 საუკუნიდან იწყება მისი აღდგენა და განახლება ზაზა ფანასკერტელის მიერ.

ამ პერიოდში, როგორც ვიცით, იწყება ოსმალების

¹ ამ ბრძოლაში ადარნასეს დამარებას უწევდა აფხაზთა მეფის—დემეტრეს (967—975 წწ.) მეტოქე თეოდოსი, რომელიც გამოქცეულა ქართლში და ადარნასეს ხელის შეწყობით გამაგრებულა ძაის ციხეში. მაგრამ დემეტრეს თავისი ძმა თეოდოსი დაუმარცხებია და ეს ციხეც აუღია („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 270—271).



სურ. 2. ყინწვისის ფრესკა, გიორგი III და თამარი.



ბატონობის გაძლიერება. ოსმალეთი ესაზღვრებოდა სამხრეთი შემაცირებული საიდანაც იგი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ქართლის დასაპყრობად. ამ მოსალოდნელი საფრთხისაგან თავდასაცავად საჭირო იყო შემოსასვლელი გზების გამაგრება. ეს გზა გუჯარეთ-ბორჯომიდან შემოდიოდა ძამის ხეობაში¹. ამის გამო ოსმალების თავდასხმის შიშით ამ ხეობას სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა და მისმა ახალმა მფლობელმა ზაზა ფანასკერტელმაც ხელი მიჰყო ხეობის გამაგრებასა და მშენებლობას.

ძამის ხეობის ახალ მფლობელს—ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს სამყოფელ ადგილად, რეზიდენციად, აურჩევია ამ ხეობის ცენტრალური ადგილი, ძეველი ნაქალაქარი—მძორეთი, სადაც იყო ძეველთაგანვე ნაგები მაგარი ციხე. მძორეთის ციხის ქვემო დავაკებაზე ზაზას აუგია ქვიტეირის სასახლე კოშკითა და კარის ეკლესიით. თავისი კარშიდამოსათვის ქვიტეირისავე მაღალი გალავანი შემოუვლია.

ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდე დაცულია. ციციანთ ილუდგენიათ აგრეთვე მძორეთის ძეველი ციხე, რომლის კედეებს დღესაც ეტყობა შეკეთება-რესტავრაციის კვალი.

მძორეთი ციციანთ ციხე-ქალაქად გადაუქცევიათ და ვაჭრობის განვითარების მიზნით აქ დაუსახლებიათ ებრაელები და სომხები. ამ ცნობას ვახუშტი ადასტურებს: „არს მძორეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი სომებნი, ურიანიო“ (გვ. 58).

თავიანთი სამფლობელოს გამაგრების მიზნით ციციანთ

¹ ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბ., 1957 წ., გვ. 6.



უზრუნიათ ძამის ხეობის სტრატეგიულ ადგილებზე კოშები აფკოთ. ეს კოშები დღესაც გუ ჰავებივით დამატებულია და ძამის ხეობის მშენებას წარმოადგენენ. იქ, სადაც ძამა მტკვარს უერთდება, სამწევრისში ციციანთ აუგიათ დილიციხე, რომელიც მტკვრის ხეობას გადასცემის. თავისი სამფლობელოს კულტურულად დაწინაურების მიზნით, ზაზას განუახლებია ყინწვისის მონასტერი, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ და სწავლა-განათლების ავრცელებდნენ.

ეს ხეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამას მოწმობს ნასოფლარი ადგილებისა და ეკლესიების სიმრავლე.

ხეობაში, რომლის სიგრძე 38 კილომეტრს არ აღემატება, გვხვდება 50 ეკლესია და ნიმ-სამლოცველო, რომელთა უმეტესობა ამჟამად დანგრეულია. მათი მიხედვით მაინც შესაძლებელია ნამოსახლარი ადგილების დადგენა. მით უმეტეს, ამ ნანგრევებთან ბევრია ნასოფლარი ადგილი. მათ შორის დიდი ტაძრებიც (ძამის მონასტერი, ტყემლოვანისა და მუხილეთის ტაძარი, ყინწვისის მონასტერი და სხვა). ამის მიხედვით შესაძლებელია დიდი და მცირე სოფლების დადგენაც.

ძამის ხეობის ოხრების მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ მხარეში თურქებისა და ირანელების შემოსევები.

მაგრამ აქაური მოსახლეობის მემცირების მთავარი მიზეზი ყოფილა დაღესტნელი ფეოდალების ყაჩაღთა რაზმები ე. წ. „ლექიანობა“¹, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო მე-17—18 საუკუნეებში.

¹ რადგან ქართულად დაღესტანს ძველიდანვე „ლექეთი“ (თურქულად—მთიელები) ერქვა, იქიდან საქართველოში რაზებად შემოსულ აბრაგებაც ყველას განურჩევლად „ლექიბა“ უწოდებდან, ამიტომ „ლექობას“ ჩვენ აქ ხმარობთ აბრაგების მნიშვნელობით.



დაღესტნელი აბრაგები თრიალეთ-გუჯარეთიდან გრამატიკის
დიოდნენ და მუსრს ავლებდნენ აქაურ მოსახლეობას, იტა-
ცებდნენ სარჩოსა და საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები და სხვა.

ძნელი იყო მათთან ბრძოლა, რადგანაც მათ ქართლის
ასაკლებად აქეზებდა და იარაღს აწვდიდა თურქეთი. ხალხიც
თავდადებით ებრძოდა დაღესტნელ აბრაგებს, ამაგრებდა
ციხე-კოშკებს, ქვიტკირის ზღუდეებს და სხვა.

აბრაგებს ყველაზე მედგარ ბრძოლას უწევდა ძამის,
ბძორეთისა და სამწევრისის ციხეები, სადაც მოსახლეობა
თავს აფარებდა და იბრძოდა.

მაგრამ ბრძოლა იყო ხანგრძლივი, მოსახლეობა ვერ
უმკლავდებოდა დაღესტნელი აბრაგების ავაზაკურ თავდას-
ხმებს და აქედან გარბოდა უფრო უშიშარ მხარეში. ამით
აისწება ამ ხეობის გაპარტახება და მოსახლეობისაგან და-
ცარიელება შე-18 საუკუნის მიწურულს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბოლო
მოელო დაღესტნელებისა და თურქების თარეშს. ციციშვი-
ლებმაც დაიწყეს ძამის ხეობის ხელახლა აღდგენა და მოშენება.

ციციშვილებს ხარაგოულის (ახლანდელი ორჯონიკი-
ძის) რაიონიდან გადმოუსახლებიათ იმერლები, რომლებიც
სოფ. სათერძესა და ციხისგვერდაში დასახლებულან.

ხოლო ასები, რომლებიც უმეტესად ჯავიდან გადმოსუ-
ლან, ძამის ხეობის შუა წელში დამკვიდრებულან.

ლექიანობას გადარჩენილი ქართველების სოფლები მო-
თავსებულია ამ ხეობაში მტკვრის შესართავთან (სამწევრისი,
კუხისჯვარი, სანებელი, წრომი და ვეღრება).

შატირიალური კულტურის ძეგლები

დამის ხეობაში წმინდახულია მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები. მათი გაცნობა და აღწერა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ როგორ ვითარდებოდა ამ ხეობის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრება.

აქაური სოფლები მთის კალთებზეა გაშენებული, ცხოვრობენ შეჯგუფულად. დღეს ამ ხეობაში მცხოვრებთა რიცხვი 10.000 სულს არ აღემატება.

ბევრია ნასოფლარი ადგილი და ახალი გაშენებული სოფლებიც. თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიყვანთ ძველი და ახალი სოფლების სიას.

სოფლების დასახელება:

ძველად, ვახუ შტის მიხედვით: ქარელი, ქლდუ, გომი, სამწევრისი, აგარა, ყინწვისი, ციხია, ქოროხანი, სანებელი, ჭივწვია, იმერხევი, ძამის მონასტერი, მძორეთი, გვერძინეთი, ქვათეთრისი, სხლები, მუხილეთი, ოსი, ქრკონი.

დღევანდელი სოფლსაბჭოს სიის მიხედვით: ქარელი, ქლდუ, გომი, სამწევრისი, აგარა, ყინწვისი, ციხისგვერდა, ზღუდერი, სანებელი, იმერხევი, ძამის მონასტერი, ორთუბანი,

გვერძინეთი, მუხილეთი, კრობანი, ელბაქიანთყარი, სატერმე, კოდმანი, ქიმაანთყარი, ბატეთი, ბანი, წიფლოვანი, გრიშაშვილი, ძალა, ვილისციხე, კლდისთავი, ბატიური, ტყემლოვანა, ზემო-შვანო, ლოშკინეთი, სუქაანთუბანი, წითელი სოფელი, არცე-ვი, კეხისჯვარი, ვეღრება, ქობესაანთუბანი.

ჩვენ არ შევუდგებით ამ სოფლებში დაცული ყველა ძეგლის აღწერას. შევეხებით მხოლოდ მატერიალური კულ-ტურის ისეთ ძეგლებს, რომლებიც თავიანთი ნაგებობით, კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობით ნათელ წარ-მოდგენას იძლევიან ამ ხეობის ისტორიულ წარსულზე.

წრომი მდებარეობს სად. გომთან, სადგურიდან დაშო-რებულია 3—4 კილომეტრით. ეს სოფელი მტკვრის გალმაა და გადადიან ბორნით. წრომს ლამაზი მდებარეობა აქვს: იგი მთის კალთაზეა გაშენებული, ტყიანია. მაგრამ დღეს ტყე მხოლოდ მთის წვერებზეა შერჩენილი. მოსავლიანი ად-გილია. უმთავრესად მემინდვრეობას მისდევენ.

წრომში დაცულია ქართული ხუროთმოძღვრების შესა-ნიშნავი ძეგლი — წრომის ტაძარი, რომელიც აგებულია მე-7 საუკუნეში. ტაძარი ლამაზად ნაგებია, შიგ და გარეთ თლი-ლი ქვით არის მოპირკეთებული. საკურთხევლის კონქზე მას ჰქონდა მოზაიკური (სოფიის კენჭი) მხატვრობა, რომელიც ახლა ჩამოხსნილია და ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ამ მოზაიკური მხატვრობის ნაადგილარი ახლაც კარგად მოჩანს.

წრომის მოზაიკა ითვლება ყველაზე ნაადრევ მოზაიკურ

მხატვრობად არა მარტო საქართველოში, არამედ
ლიმიში¹.



სურ. ვ. ჭრომის ტაძარი.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი შემქულია ლამაზი ქარ-
თული არშიით, სამხრეთის კედელს შერჩენილი აქვს ასომთავ-
რული წარწერაც². აღმოსავლეთის გარევედელი დასერილია,

¹ Я. И. Смирнов, Промская мозаика, Тб., 1935 г.

² გ. ჩუბინაშვილი და ბ. სევეროვი, ქართული არქი-
ტექტურის გზები—ჭრომი, თბ., 1936 წ., გვ. 58—69.

2. ს. მაკალათია.





რომლის შესახებ მოგვითხრობენ, რომ დაღესტნელ აბრაგებზე აქ ხმლები ულესავთო (ისეა დაღარული, მართლაც ხმლების ნალესი გეონებათ).

წრომის ზევით ახლაც უჩვენებენ ნათხარს, რომელზე-დაც ამბობენ, რომ თამარის დროს ამ თხრილით უნდოდათ ძამის გაღმოყვანა წრომშიო. ამის მახლობლად მთის ფერ-დობზე ძველი ნამოსახლარია, სადაც კარგად მოჩანს შენობათა საძირკველი, მიწაში ჩაფლულია დიდი ქვევრები, იქვეა ორი ხარო (ხორბლის შესანახი). ეტყობა, თავდაპირველად ძველი სოფელი (წრომი) ამ ფერდობზე ყოფილა გაშენებული, შემდეგ მტერთა შემოსევის გამო მისი კვალი წაშლილა და ახალი სოფელი ეკლესის მახლობლად მოშენებულა.

ეს უნდა მომხდარიყო ლეკიანობის გამო. ხალხს ლეკიანობა ახლაც ახსოეს. ლეკი აბრაგები გადმოდიოდნენ ძამის სათავით, მანგლის-თრიალეთიდან და მთელ ხეობას ანადგურებდნენ. მით უმეტეს, ამ სოფელს თავდასაცავად ციხე-გალავანი არ ჰქონია, არც კოშკი, თავი რომ შეეფარებინათ ლეკიანობის დროს. ეტყობა, ასეთ შემთხვევაში ხალხი იხიზნებოდა წრომის ტაძრის გალავანში, რომელიც ქვიტკირისა იყო და რომლის ნაწილი დღესაც შემორჩენილა. მაგრამ ამ გალავანს არ ჰქონია საომარი კოშკები და მოსახლეობასაც არ შეეძლო ასეთ გალავანში დაღესტნელ აბრაგებთან დიდხანს გამკლავება. ტყვეობას გადარჩენილი მოსახლეობა აქვდან გაქცეულა და ეს სოფელიც გაუკაცრიელებულა. წრომი და მისი ტაძარი ტყეს დაუფარავს.

წრომის მებატონეს—ციციშვილს პირველად აქ დაუსახლებია ჯავახეთიდან, ხანდო-გარძიიდან, გადმოსული მურჯი-

მურჯი-
კანი

კნელი. აქ დღესაც არის მათი ძველი ნასოფლარი „მურჯი-კანი“. შემდეგ იქვე დასახლებულან სხვადასხვა კუთხეებისას გამოქცეული გლეხები.



სურ. 4. წრომის მოზაიკა.

სამწევრისი მტკვრისპირა სოფელია. მდებარეობს მტკვრისა და ძამის შესართავთან. მის სახელწოდებას უკავშირებენ „სამ წევრს“: თავდაპირველად აქ სახლებულა სამი კომლი (სამი წევრი) და ამის გამო ეწოდა სამწევრისიო.



სოფლის თავზე, მაღალ გორაკზე დგას შე-7 საუკუნის
შესანიშნავი ძეგლი — სამწევრისის წმ. გიორგის ტაძარი განვითარებულია
ეკლესია პატარი და მაღალგუმბათიანია. შიგ და გარეთ
მოძრაობების თანამდებობის მიხედვით. 1940 წლის 8 მაისს მომ-
ხდარმა მიწისძვრამ სამწევრისი ძლიერ დააზიანა.

სამწევრისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე ამოქვი-
თილია შე-10 საუკუნის ასომთავრული წარწერა. იგი მოვი-
თხრობს სამწევრისის წინამძღვრის — დომინიკისა და გიორ-
გი თუალასძის მიერ არხის გაყვანაზე:

„ქ. ზედა წელსა კს კონსტანტინე მეფისასა ესე რუვი შე
მამასახლისმან და გი-

ორგი თუალას ძემან მოვილეთ რუვი ესე ჯუარად
და არაეინ არს ხუა... რუვსა ამას გარჩა
პატიოსანი ჯუარი და გიორგი ვინ ესე აღმოიკითხოს
შე დომინის მონაც ჯვარისა,
იგი ქრისტემან შეიწყალენ ამენ იყა (ვან).

ამ წარწერამი მოხსენებულია აფხაზთა მეფე კონსტან-
ტინე, რომელიც მეფობდა შე-10 საუკუნის დასაწყისს².

მეორე წარწერა მოთავსებულია სამწევრისის სამხრე-
თის ფასადზე ჩადგმულ ფილზე. ეს წარწერა არის მისი გან-
მაახლებლის — მერაბ ფანასკერტელისა, „შესრულებული გვია-
ნი დამწერლობის ასომთავრულით:

¹ ნ. ს ე ვ ე რ ო ვ ი, სამწევრისი, „ქართული ხელოვნება“, სამწევ-
რისის ტაძრის შესწავლისათვის, უზრ. „ქართული ხელოვნება“ № 2. გვ.
12—26; В. Беридзе, Архитектура Грузии, Москва. 1948 г., стр. 33.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ა, ქართველი ერის ისტორია, ნაწ. II, თბ.,
1914 წ., გვ. 388; მ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, უზრ. „ქართული ხელოვნება“
№ 2, გვ. 22—24.

„მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს რაბს შეუნდვეს ღმერთმან ზედამდეგს ცილს საბას შეუნდვნეს ღმერთმან“.


ეს მერაბი ზაზა ფანასკერტელის შვილია და გამოქვეყნებულ სიგელებში მერაბ ფანასკერტელი-ციციშვილი ორჯერ გვხვდება; სახელდობრ, მე-16 საუკუნის 20-იან და 70-იან წლებში. ქვათახევის მონასტრის სიგელში, ოომელიც გაცემულია მერაბის მიერ 1520 წელს, ნათქვამია: „დიდისა ფანასკერტელისა ციციშვილისა პატრონსა ზაზას ძის მერაბისა“¹.

ეკლესიის გარშემო ძეველი ნამოსახლარია, ეტყობა, აქ მციდრო შოსახლეობა უნდა ყოფილიყო.

ეს სოფელი ეკუთვნოდა ციციშვილებს და აქვე არის მათი საკმაოდ დიდი და მაგარი ციხე, რომელიც იცავდა ძამის ხეობას მტკვრის შესართავთან. ამ ციხეს უჭირავს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაგისტრალი: იგი იცავდა გორის ციხესაც სამხრეთ-დასავლეთით, კეტავდა ძამისა და მტკვრის ხეობებს სამწევრისთან.

ციციანთა ეს ციხე აგებულია მაღალ ბორცვზე და გადასცერის მტკვრის ხეობას. ციხე მაღალი ქვიტკირის გალავნით ყოფილი შემოზღუდული. ციხეს უკავია ნახევარი ჰექტარი ფართობი, აქეს ერთი მისასვლელი გზა სამხრეთ-დასავლეთით. იგი ნაწილობრივად დაშლილია, დარჩენილია მისი მაღალი კედლები და ერთი კოშკი. ციხეს ჰქონია ოთხივე მხრიდან მაღალი კოშკი. დარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის მხარეზე. ციხე სამსართულიანია, სართულების

¹ ს. ქაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, თბ., 1913 წ., გვ. 29—31; თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 347—348.




სურ. 5. სამწევრისის ტაძარი.

კედლებზე კარგად მოჩანს ოთახების სარკმლები, თახჩები, ბუხრები და სხვა.

ციხეს თავისი ეკლესიაც ჰქონია. ციხის შუა მოედანზე დიდი ხაროა, რომელიც თლილი ქვით არის ამოშენებული. ქვევრებიც ბევრია ჩაფლული, ციხის კედლებში და კოშკებში

დატანებულია სათოფურები. აქვს ერთი შემოსასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან.



სურ. 6. სამწევრისის ციხე.

სამწევრისის ციხიაშვილების ეს ციხე ტიპიურია. მისი ციხე გალავანიც კი თავისი მოცულობით მთელი ხეობის მოსახლეობას დაიტევდა. იგი გამიზნული იყო ხანგრძლივი გარემოცვისათვის, რასაც მოწმობენ საცხოვრებელი ოთახები, დიდი ხაროები და კარის ეკლესიის არსებობა¹.

¹ სამწევრისის ციხე-დარბაზი არა ერთხელ შეკეთებულა, მაგრამ ძირითადი და უძველესი ფენა შეიძლება დაგათარიღოთ მე-15—16 საუკ. მიჯნით. (იბ. პ. ზაქარ აია, „საციციანოს XVI—XVII—ს.ს. ციხე-სიმაგრეები“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 6, თბ., 1957 წ., გვ. 770).

ყინწვისი მდებარეობს ქარელ-გვერძინეთის შენაზე,
სადაც ყინცურას წყალი უერთდება ძამას. სოფლიდან მდებარეობს
გორაკზე მოჩანს შესანიშნავი ყინწვისის მონასტერი, რომელ-
საც წმ. ნიკოლოზს უწოდებენ. მას ჩამოუდის ყინცურის
ხევი, რომელიც სოფლიდან 2—3 კილომეტრითაა დაშორებუ-
ლი და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

მონასტერი ტყით არის დაფარული და ძნელი მისას-
ვლელიცაა. აგებულია დავაკებაზე. მისი ფართობი უდრის
ერთ ჰექტარს. აქეს ლამაზი ეზო, რომელიც ოდესლაც შემო-
ზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით.

შიგ არის რამდენიმე ძეელი ნაგებობა. შუაში აგურით
ნაშენი დიდი ტაძარია (წმ. ნიკოლოზი) ქვაფიქალით გადა-
ხურული. ეკლესია დიდია და მაღალგუმბათიანი. აქვეა მეო-
რე, ქვიტკირით ნაგები უფრო ძეელი ტაძარი, სამრეკლო და
სხვა ნაგებობანი. გალავნის შიგნით ბერების სადგომები
(სენაკები) ყოფილა. კარგად მოჩანს მათი საძირკველი. ეტყო-
ბა, ეს მონასტერი მტერთა შემოსევისა თუ ეამთა ვითარე-
ბისა გამო დანგრეულა და გაპარტახებულა, შესაძლებელია
მონლოლთა ბატონობის დროს განადგურდა (მე-13—14
საუკ.).

ყინწვისის მთავარი ტაძარი გარედან სადაა და უორნა-
მენტო, მაგრამ შიგნით მოხატულია. კედლის მხატვრობა ზოგან
გადასულა, მაგრამ რაც კი შერჩენილია, მაღალი ხელოვნებით
არის შესრულებული და მე-12—13 საუკუნეებს მიეკუთვნება¹.

¹ Н. Т. Толмачёвская, Кинцвиси, фрески древней Грузии, стр. 12—13.



Սպր. 7. Կոնֆյուսիոն անցելուն.



როგორც აღვნიშნეთ, ტაძრის ჩრდილოეთის კელეჭები მთელი ტანით გამოსახული არიან გიორგი III, თამარ დედოფლის და გიორგი ლაშა ხელებაპყრობილნი, მავედრებლის პოზაში. მათს ზემო ფიგურებში, თავისი მხატვრული ექსპრესიით, შესანიშნავია მჯდომარე ანგელოზი.

ზაზა ციციშვილს, როგორც ამ მონასტრის განმახლებელს, ყინწვისის ტაძარი საფუძვლიანად შეუკეთებია და განუახლებია: შიგ ეკლესიაში დასავლეთის მხარეზე მიუშენებია ექვტერი, რომელიც პატარა ოთახს წარმოადგენს. ექვტერი მოხატულია. შესასვლელ კართან კი გამოსახულია: მარცხივ—პეტრე მოციქული, რომელსაც ხელში უჭირავს გასაღები ასომთავრული წარწერით: „სამოთხისა კარის კლიტენი ხელთა აქ“; მარჯვნივ, მეორე მხარეზე, გამოსახულია თვით ზაზა მშენებლის პოზაში: მას ხურავს მაღალი ქუდი და მარჯვენა ხელში უჭირავს ტაძრის გეგმა და ზედ ასომთავრულით აწერია: „ფანასკერტელი ზაზა“.

ზაზას ეს გამოსახულება ტაძრის კედელზე მშენებლის პოზაში ასახავს მის მიერ ამ ხეობაში ჩატარებულ აღდგენითს მშენებლობას.

ზაზას ხელისშეწყობით ყინწვისი გადაიქცა ამ ხეობის განათლების ცენტრად. თვით ზაზა ყოფილა განათლებული მწიგნობარი და გამოჩენილი ექიმიც. მას დიდი ლვაწლი მიუძლვის ქართული მედიცინის წინ წაწევის საქმეში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. გორგაში (ნიუნი-ნოვგოროდში) აღმოჩენილი სამკურნალო წიგნის ხელნაწერი „კარაბადინი“, რომლის ავტორია ზაზა ფანასკერტელი¹.

¹ ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი“ (კარაბადინი), თბილისი, 1950 წ. (შ. საკაშვილის ოედაქციით); ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“ (შ. შენგელის ოედაქციით), თბ., 1959 წ.

მონასტრის ამ მთავარ ეკლესიაში დაცულია საფლავის
ქვა. მას გარშემოვლებული აქვს ფოთლოვანი არშია დაწყდებული
რულად აწერია მე-17—18 საუკ. გავრცელებული ხელით:

„წამითხველნო ეპიტაფიას ამის გახსოვდეთ განჩინებაი
ვ დ მწუხარეთ დღე სულ დაცდა მე მკედარსა მოვანსა ცი-
კის შვილ ედიშერ სახლთუხუცისძე მილახვარ ბაშ ქაიხოსრ
ქვს უო (1792 წ.)“. „უო“-ნის ქვეშ მოთავსებული ორი
ასო „ბდ“ უნდა ნიშნავდეს თვესა და რიცხვს (თებერვლის 4).

მონასტრის დასავლეთის მხარეზე დგას ერთნავიანი ქვი-
ტკირის ეკლესია. მისი წინა მხარე მორბლებულია და ჩაქცეუ-
ლი, დარჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი, რომელიც
მთლად მოხატულია. ეკლესია ძველია (მე-11—12 საუკ.),
მხატვრობა კი მიეკუთვნება უფრო გვიან პერიოდს. ეზოს
ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას პატარა შენობა, რომე-
ლიც მოპირკეთებულია თლილი ქვით. ამბობენ, ამ ოთახიდან
გვირაბი ჩადიოდა წყალზე (იქვე ჩამოუდის ყინული), აგრე-
თვე—ხაროებში (ეზოში ახლაც დაცულია ქვით ამოგებული
სამი ხარო), საიდანაც ჭირნახული ამოპქონდათ.

ყინწვისიდან ერთი კილომეტრის დაშორებით არის ე. წ.
„გიგოს საყდარი“. იგი უკვე დაშლილია, მხოლოდ შერ-
ჩენილია ბარელიეფები, რომლებშიაც გამოსახულია მამაკა-
ცის ფიგურა წელზემოთ ორი მტრედით, ირემი და გვი-
ლებაპი.

ზღუდერი მდებარეობს იქ, სადაც ძამას ერთვის
ლვანანას ხევი. ვახუშტი მას უწოდებს ქოროზანს, რუ-
კაზედაც იმ ადგილას აქვს იგი აღნიშნული, სადაც ახლა
ზღუდერია. მას ქოროზანი მოხსენებული აქვს ძამის ხეობის

სოფლების ნუსხაში, მხოლოდ მისი აღწერა არა მოცემული.

ხალხის გადმოცემით, ამ სოფელს ძველად ქოროზანი რქმევია, ზღუდერი კი შემდეგ უწოდებიათ. დღეს მას ორივე სახელით იხსენიებენ (ქოროზანი-ზღუდერი).

სოფლის ცენტრში დაცულია ძველი ტაძარი, რომელიც შემოზღუდული ყოფილა ციხე-გალავნით და ამის გამო სოფელსაც ეწოდა ზღუდერიო. თვით მდინარე ლვანანასაც გამოცვლილი აქვს ძველი სახელი: ვახუშტი მას იმერხევის ხევს უწოდებს, ახლა კი ლვანანას წყალს ეძახიან.

ზღუდერი არ არის დიდი სოფელი, მაგრამ იგი მდიდარია სახნავ-სათესი აღგილებით, სარწყავია, მოდის კარგი ხორბალი და ქერი. ვაზის გაშენებას აქ არ მისდევენ.

ზღუდერში ციხე-კოშკები არ შემონახულია. არის ნასოფლარები ეკლესიების ნანგრევებით. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად ზღუდერი (ქოროზანი) უნდა ყოფილიყო დიდი სოფელი, რომელიც უბნებად იყოფოდა და თითოეულ უბანს ჰქონდა თავისი ეკლესია-სამლოცველო. ეკლესიების ნანგრევების მიხედვით, აქ ყოფილი რვა უბანი. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა ზღუდერის სამნავიანი ეკლესია, რომელიც ნაგებია ქვიტკირით და თლილი ქვით არის მოპირკეთებული.

ზღუდერის ეკლესია ნახევრად დანგრეულია, ქვიდლის სამოსელი ფიქალქვები შემოძარცულია. ეკლესია ძველია და რამდენჯერმერა გადაკეთებული. ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, ზღუდერის ეკლესიის პირველი ფენა მე-6—7 საუკ.

ფარგლებშია დაწყებული¹ და მისი გეგმა, ჯვარისებური კვეთის მიხედვით, სამნავიან ბაზილიკის ჩანასახს უძრავი მოვალეობა შემდეგ იგი გადაკეთებულია სამნავიან ბაზილიკად მე-9—10 საუკ. (გვ. 45), მას წარწერებიც ჰქონია. ერთ ფილზე ასო-მთავრულად აწერია: „წმ. სტეფანე შეიწყალე ისაკ და მარიამ შვილითურთ“. ეკლესიის კარის თავი შემკული ყოფილა მცე-ნარის ორნამენტით (ვაზის მტევნები). ხალხური გადმოცემით, ეს ეკლესია დაუწვავთ დაღესტნელ აბრაგებს, რომლებიც ამ ხეობას არჩევდნენ. ეკლესიის შიგნით კედლები ახლაც კი შემურულია.

ეკლესიის ეზო შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით, რომლის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. უმჭვი-ლია, ეს გალავნი მაღალი და ოთხივე მხრივ კოშკებით გამაგ-რებული იქნებოდა. ნაკოშკარი აღგილები დღესაც კარგად ეტყობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეზე.

ლვანანის ხევში ბევრი ნასოფლარია, შედარებით ღარი-ბია მნიშვნელოვანი ძეგლებით. აღსანიშნავია ერთი პატარა სამღლოცველო ე. წ. „ციების ეკლესია“². იგი მოთავსებუ-ლია ლვანანის ნაპირზე, ზედ გზის პირას, და თითქმის დან-გრეულია.

ამავე იმერხევში (ლვანანის ხევი) არის ძამის მონას-ტერი, რომელიც ახლა ნანგრევს წარმოადგენს. მას უჭი-რავს დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. მონასტერი

¹ ლ. რჩეული იშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი“, უფრ. „ქართული ხელოვნება“, თბ., 1948 წ., № 2, გვ. 44.


ქვეიტების გალავნით ყოფილა შემოზღუდული. მონასტრის კუთხით ეზო დაფარულია ფიჭვისა და ნაძვის ხეებით. მონასტრის მთავარი ტაძარი და სხვა ნაგებობანიც დანგრეულია 1940 წლის მიწისძვრისაგან. ეკლესია ნაგებია თლილი ქვით, შიგნით მოხატული ყოფილა, მხატვრობის ფერადი კონტურები ზოგან შემოჩენილია.

შესასვლელ კარებთან, მარცხნივ, ქვის სვეტზე ამოვრილია ხუცური წარწერა, რომელიც ძნელად იკითხება.

დასავლეთის მხარეზე აქვს თალებიანი სვეტზე თლილი ქვით მოპირკეთებული. ეზოში ჩაფლულია ქვევრები. არის ხუთი დიდი ხარო ხორბლის შესანახავად. ბევრია საცხოვრებელი ბინების ნანგრევი. ერთი ასეთი დარბაზის სიგრძე უდრის 11 მეტრს, განი—7 მ. შიგ წყაროც ჰქონიათ.

ნაგებობათა მიხედვით ეტყობა, რომ ძამის მონასტერი საკმაოდ დიდი ყოფილა. მონასტრის მიდამოში ბევრი ნამოსახლარი აღგილია, სახნავ-სათიბიც საკმარისი ჰქონია. შედიდარია აგრეთვე ტყითა და წყაროებით.

ძამის მონასტერი ძველია და თავისი ნაგებობით წააგავს ვერესა (ატენი) და კვირიკე წმინდის (ბორჯომის ხეობა) მონასტრებს, შესაძლებელია იგი მივაკუთვნოთ მე-7—8 საუკ.

მძორეთი ძამის ხეობაშია, ახლა უწოდებენ ორთუბანს. ძველი მძორეთის აღგილას დღეს გაშენებულია სამი სოფელი: ორთუბანი, წითელი სოფელი და სუქაანთუბანი. ხალხი ეძახის მზორეთ-ორთუბანსაც. ვა ხუ შტი მას უწოდებს მძორეთს. ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია მძორეთი¹.

ეს სოფელი მდებარეობს ძამის გაშლილ ჭალაზე. აუტიუნი
ლი ნაყოფიერია და სარწყავი. ჭირნახული და ხილი შეკვეცი
მოდის, ვაზიც ხარობს. ხალხის გადმოცემით, წინათ აქ მოსა-
ხლეობა არ ყოფილა, მთელი მიდამო ტყით ყოფილა დაფა-
რული. აქაურ ადგილ-მამულს ციციშვილები ფლობდნენ.

აქვეა ადგილი, რომელსაც „ურიების თორას“ ეძახიან:
აქ წინათ ურიებს უცხოვრიათ. ამას ვახუშტი ის ცნობაც
ადასტურებს: „არს მძორეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი,
ურიანიო“ (გვ. 53). შემდეგ ალბათ ლექიანობის შიშით
ურიები აქედან აყრილან და გაღასახლებულან ქარელში,
სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ და მათ ეძახიან მძორე-
ლაშვილებს.

ძველი მძორეთის ტერიტორიაზე დაცულია საყურა-
დლებო ისტორიული ძეგლები: ციხე-კოშკები, აბანოები, ცი-
ციანთ სასახლე, ეკლესიები და სხვა, რომლებიც მოწმობენ,
რომ მძორეთი ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამას ვახუშტიც
ადასტურებს მძორეთის გეოგრაფიულ აღწერაში.

¹ სახელწოდება მძორეთის შესახებ არსებობს სხვადასხვა განმარ-
ტება: ხალხური გადმოცემით, მძორეთი წარმოშობილია „მშეარეთიდან“,
ე. ი. მშერიანი ადგილიდან (ვენახი აქ დღესაც ხარობს).

პროფ. ივ. ჯავახიშვილი ის მოსაზრებით, „სახუერე“—ნიშნავს
საბაქოს, სადაც საბაქო უნდა ყოფილიყო (იხ. მისი „ქართული სამართ-
ლის ისტორია“, ტ. I, 1919 წ.); ს. ჯანაშიას ა და ნ. ბერძენი
შვილ ს კი იგი მიაჩნიათ გეოგრაფიულ სახელწოდებად, საბაქოსთან და-
კავშირებით (იხ. ნ. ბერძენი შვილი, „ერთი უძველესი საბაქოს მდგ-
ბარეობისათვის“, საქ. მუზ. „მოამბე“, ტ. X, თბ., 1940 წ., გვ. 22).



მძორეთის, ანუ ორთუბნის ციხე აშენებულია კლდოვანი მთის კლდოვან აღგილის. იგი შორიდან კარგად და ძამის მთელ ხეობას გადასცერის. ვა ხუ შტი მას უწოდებს „ძამის ციხეს“, ხალხი კი — მზორეთის ციხეს.

შეიძლება აქ აღგილი ჰქონდეს შეცდომას, რადგან შეორე ციხეც არის ძამის სათავესთან, რომელსაც ძამის ციხეს უწოდებენ, იქვეა სოფელი ძამაც.

სამწუხაროდ, ვახუშტის არა აქვს ციხის აღწერა, რომ შესაძლებელი იყოს შედარების საშუალებით სინამდვილის დადგენა. ვა ხუ შტი ა მბობს: „არს მძორეთი, მცირე ქალაქი, მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ეს არს ძამის ციხე. ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთაო“ (იქვე, გვ. 58).

ის მეორე ციხე, რომელიც ძამის სათავესთან არის და ძამის ციხეს უწოდებენ, მას სულ არა აქვს მოხსენებული. ამ შემთხვევაში ვა ხუ შტი რომ ცდება, ამას ადასტურებს მის მიერ შედგენილი რუკა, რომელზედაც ძამის ციხე ნაჩვენებია არა მძორეთთან, არამედ გვერძინეთის ზემო, ძამის სათავეში, იქ, სადაც ეს ციხე სინამდვილეში დღესაც არსებობს. მძორეთის დიდი ციხე კი ვა ხუ შტი ის რუკაზე სრულებით არაა აღნიშნული.

ძამას ამ ხეობაში ყველაზე დიდია მძორეთის ციხე, იგი თითქმის მიუვალია: აღმოსავლეთით აკრავს ტყიანი მაღალი ქედი, სამხრეთით — დასხლეტილი ლრმა ხევი, დასავლეთით კი — ორთუბნის ვიწრო ხევი. ციხის კლდე თიხნარია და ადვილად იშლება. ასეთ კლდეზე აგებულია დიდი და რთული კონსტრუქციის ციხე. ციხის ასაგებად გამოყენებუ-

ლია ნათალი ქვა და ისეა შეკრული დუღაბით, რომ მნახველე
ერთი მთლიანი კლდისაგან გამოკვეთილი ეგონება.

სამაცხოველი
შემუშავების

ციხის კედლებს აშკარად ეტყობა შემდეგი დროის შე-
კეთება-განახლება. იგი თავისი ნაგებობითა და გეგმით უკუ-
ველად ძველია და შემდეგში, დაახლოებით მე-16—17 საუკუ-
ნეებში, საფუძვლიანად უნდა იყოს ციციშვილების მიერ
განახლებული. შეკეთებული ადგილები განირჩევა მასალითა
და წყობით, გამოუჭრიათ სათოფურებიც, რაც, ეტყობა,
ციხეს წინათ არ ჰქონია.

ციხის ძველი ნაგებობის ნაწილი მუქი რუხი ფერისაა
და ნაგებია მციდროდ და კაპიტალურად. ეს ძველი ნაწილი
კი აშკარად მოწმობს, რომ მძორეთის ციხე ამ ხეობაში ყვი-
ლაზე უძველესი თავდაცვითი ნაგებობაა. იგი აგებული უნდა
იყოს არაბთა შემოსევამდე (მე-7 საუკ.) და ქალაქთან ერთად,
ივარაუდება, ეს ციხეც არაბებმა დაანგრიეს (მურვან ყრუმ).

სამწუხაროდ, ეს საინტერესო ციხე დღემდე არ არის
შესწავლილი და გამოკვლეული, რომ შესაძლებელი იყოს მის
ნაგებობათა ზუსტი დათარილება.

ციხე მაღალი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომ-
ლის ნაწილი ახლაც შემორჩენილია. გალავანს აქვს ორი
კარი: ერთი—აღმოსავლეთით, მეორე—დასავლეთით. აქვს
აგრეთვე სათოფურები. კარებში გამართულია საკედლურები,
რომლითაც გალავნის კარები იკეტებოდა. გალავნის ამ კა-
რებს იცავდა მაღალი კოშკი, რომელიც ახლა თავმორღვეუ-
ლია. კოშკი სამსართულიანია, შიგ გამართულია თახჩები,
სარკმლები და ბუხარი. ციხეში დარბაზული ტიპის ოთახებია
3. ს მაკალათია.

გამართული, ზოგი მათგანი სამსართულიანია. დარბაზებშია
აგრეთვე ბუხრები, ნიშები, სარკმლები და სხვ. 

შიგვე მოთავსებულია ციხის ეკლესია, რომელსაც „ცი-
ხის ეკლესიას“ (ლეთისმშობელს) უწოდებენ.

ეკლესია ორსართულიანია, ჩვეულებრივი ტიპისა, აშე-
ნებული უნდა იყოს მე-16—17 საუკ., ციხის განახლება-აღდ-
გნისას.

ციხის ხეობაში შემოჭრილ მტერს ამ ციხესთან უხდე-
ბოდა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. განსაკუთრებით
მე-17—18 საუკუნეებში მას ოსმალთა და დაღესტნელთა
ლაშქარი ესეოდა, მაგრამ მტერს უჭირდა მძორეთის ციხის
გატეხა და აღება.

შინაპოლიტიკურ ბრძოლებში მებატონე ციციშვილები
მძორეთის ციხეს თავს აფარებდნენ. მაგალითად, როდესაც
ნოდარ ციციშვილი აუჯანყდა როსტომ მეფეს (მე-17 საუკ.
40-იან წლებში), იგი გამაგრდა მძორეთის ციხეში. როსტომ-
მა ამ ციხეს დაუშინა ზარბაზნები, მაგრამ ციხე ვერ დაან-
გრია. ამის შესახებ ისტორიკოსი ფარსალან გორგიჯა-
ნიძე მოგვითხრობს: „მან (როსტომმა) გორის ციხიდამ ზარ-
ბაზნები ჩამოიტანა და ძოვრეთის ციხეს შემოადგა. ზარბა-
ზნები დაუშინა, მაგრამ ქვიტკირს ვერა აენო რა-ო“¹.

ციხის ახლო არის ციციანთ ნასახლევი, რომელიც გზის
პირას მდებარეობს და პირდაპირ გასცემის ძამის ხეობას.
სასახლის ფართობი უდრის ერთ ჰექტარს. სამხრეთით მას

¹ ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, 1925 წ.,
83. 249.



იცავს მაღალი მთა, ჩრდილოეთით კი გზის პირას შემოქმედებული დუღი ყოფილი მაღალი გალავნით. გალავანი დღეს დაწერულია, მაგრამ მისი საძირკველი კარგად მოჩანს. შიგ ყოფილი სასახლის შენობა, კოშკი და კარის ეკლესია.


ამჟამად სასახლის მხოლოდ კედლებია დარჩენილი. იგი ჭვიტკირისაა, პქონია სამი დარბაზი, რამდენიმე ოთახი და დერეფანიც.

სასახლის უკან რიყის ჭვით ნაგები მაღალი კოშკია, ფორმით ოთხკუთხაა და შეიძლება მოვარდობა.

კოშკი კარგად არის ნაგები, სართულები გამართულია ჭერ-იატაკით. ჭერი თაღიანია და ლასტები ახლაც დაცულია, რომელიც დარღვეული ასხამდნენ.

კოშკის სართულებში, შიგვე, სართულიდან სართულზე, გამართულია ასასვლელი ჭვის კიბეები; აქვს სათოფურებიც. კონსტრუქციითა და ნაგებობის ტექნიკით ეს კოშკი აგებულია მე-16—17 საუკუნეებში. კოშკის კედლები შემაგრებულია ბურჯებით. კოშკი ქვემოთ უფრო განიერია, ზემოთ კი — შევიწროებული. კოშკს თავისი გალავანი პქონია, ახლა დარჩენილია მხოლოდ მისი ნაწილი. კოშკის სართულებში დატანებულია ბუხრები, სარკმლები და თახჩები. ზემო სართულებს გარედან მიშენებული აქვს აგურის საპირფარეშო. კოშკს თავისი გალავანიც პქონია, ახლა დარჩენილია მისი ნაწილი. ამ კოშკიდან გზა გადადის მძორეთის ციხეში.

კოშკის აღმოსავლეთით არის კარის ეკლესია, რომელ-ზედაც მიშენებულია სამსართულიანი კოშკოვანი შენობა. მისი პირველი სართული წარმოადგენს ფარდულს, რომელიც გამართულია ლიათალიან ოთხ ბოძზე. ჭერიც თაღიანი აქვს.



ସ୍ତର. 8. ପ୍ରତିବାନ୍ତ କଣଶ୍ଵର.



მეორე სართული დახურული ოთახია, რომელსაც შეუძლებელი რი, თახჩები და სათოფურები აქვთ.

მესამე სართული აგურით არის დაშენებული. მას ოთხივე მხრივ აქვს განიერი ღია თაღი. ჭერი გუმბათივით მაღალია და თაღიანი, შუაში გამოჭრილია პატარა სარკმელი (უნდა იყოს სამრეკლო).

ეს ნაგებობაც მე-16—17 საუკ. მიეკუთვნება.

ამ კოშკის პირველი ღიათაღიანი სართულიდან ვიწრო კარი შედის ეკლესიაში. კარის თავზე, გარედან, შერჩენილია ძველი მხატვრობა, რომელიც გაშავებულია, მაგრამ მაინც კარგად მოჩანს ლვოსმშობლის სახე ხელში ყრმა ისეოთი, მის გვერდით კი—მხედარი თეთრ ცხენზე (წმ. გომრგი). ეკლესია ერთნავიანია, სადა, ნაგებია კლდისა და რიყის ქვით.

ციციანთ ამ სასახლის მახლობლად, ძამის მხარეზე, შძორეთის ციხის პირდაპირ, ჭალაზე, არის ძეველი აბანო. ეს აბანო ნაგებია აგურით; იგი ჩვეულებრივი ტიპისაა და შედგება ორი ნაწილისაგან, გაერთიანებულია დახურული დერეფნით. აბანოს ოთახები თაღიანია (გუმბათისებური), ჭერში გამოჭრილია განიერი სარკმელი, საიდანაც შუქი შემოდიოდა და ჰაერის ცირკულაცია ხდებოდა. შიგ გამართულია ღუმელი, წყლის აუზი და სხვა. წყალი აბანოში შემოდიოდა თიხის მილებით, რომელთა ნაშთი დღემდე შემონახულია.

ამ აბანოდან ცოტა მოშორებით იმავე ჭალაზე მეორე ასეთივე აბანოს ნანგრევია, რომელიც აგურით არის ნაგები და იმავე სტილისა და დროისაა.

ეს აბანოები მიეკუთვნებიან მე-17—18 საუკუნეებს და



მოწმობენ, რომ მძღვანელი კეთილმოწყობილი ციხე-ქადაგის კუთხით მოვალეობა.

გვერდი 6 ეთი მდებარეობს ძამის გაღმა (მარცხენა მხარეზე). მოსახლეობენ ოსები, რომლებიც ციციშვილს გადმოუყვანია ჯავიდან. ძამის გაღმა (მარჯვენა მხარეზე) ძევლი ნასახლარია, სადაც შემონახულია ნაგებობათა საძირკვლები, საფლავები, ექლესის და კოშკების ნანგრევები და სხვ. ეს ნასოფლარი უნდა იყოს ვახუშტის „სხლები“, რომელსაც ამჟამადაც ისე უწოდებენ („მსხლებს“), სადაც ბევრი პანტა მსხალია.

გვერდი 6 ეთის აღწერისას ვახუშტი ამბობს: „მძღვანელი დასავლეთს, გვერდინეთს ერთვის ძამის ხევი მუხილეთისა“ (გვ. 58). სინამდვილეში კი მას აქ ერთვის აბუხალოს ღელი.

ამ ორი ხევის შეერთების ადგილას (აბუხალოსა და ძამისწყალი) დგას ორი საყარაულო კოშკი: ერთი—აბუხალოს ნაპირას, მეორე—ძამის ნაპირზე. ორივე კოშკი ერთმანეთს გასცემის და იცავს ამ ორი ხეობის შესართავის ვიწრო გასავლელ გზას: ერთი გზა აბუხალო-ტყემლოვანიდან მოემართება, მეორე კი —ძამის სათავიდან.

პირველი კოშკი აბუხალოს ნაპირზეა, ნაგებია კლდის ქვით, ფორმით ოთხკუთხაა, სათოფურები არა აქვს. კოშკი სამსართულიანი ყოფილა, ახლა დარჩენილია მისი ორი სართული. კოშკი მიშენებულია კლდეზე, მაღალი და ყრუ საძირკველი აქვს.

მეორე უფრო მაღალი კოშკი ძამაზეა, იქ, სადაც მას შეერთვის აბუხალოს წყალი. კოშკი კლდის ქვითაა ნაგები, მის უკან მაღალი კლდოვანი მთაა.



Տպան. 9. ՑԱՐԱՐԺԻՆԵՐՈՅԻ ԿՈՇՔԻ.

კოშკი ოთხსართულიანია. ასასვლელი კარი იქვს მარ-
ლა,—ალბათ კიბით აღიოდნენ. კოშკს არა იქვს ჩატყაფი
და ქონგურები.

გეორგინეთიდან გზა მიდის აბუხალოს ხეობით ტყემლო-
ვანსა და აბუხალოსაკენ, ძამის ხეობით კი—სათერძე-ციხის-
გვერდისაკენ.

სათერძე მოთავსებულია სათივესლელეს შესართავთან,
ძამისთან.

ეს ადგილი ძველი ნასოფლარია, სადაც ექლესიების ნან-
გრევებია. მათ შორის აღსანიშნავია ლვოისმშობლის ექლე-
სია, რომელსაც სათერძის წყალი ჩამოუდის და მთლად
ტყით არის დაფარული. ექლესია ნაგებია ქვიტკირით, შიგ-
ნით და გარეთ თლილი ქვითაა მოპირკეთებული. იგი 1940
წლის მიწისძერის დროს დანგრეულა, დარჩენილია მხოლოდ
კედლები. ჰქონია წარწერებიც და ადამიანის ბარელიეფური
ქანდაკება; ამსობენ, ზედ თამარ მეფის სახე იყოო.

კარი და სარკმელი ამ ტაძრისა ლამაზი ქართული
ჩუქურთმიანი არშიით ყოფილა შემქული, რომლის ნაწილი
ახლაც შერჩენილა. ჩუქურთმა ძველია, მე-11—12 საუკუნეე-
ბისა. დასავლეთის კარის თავზე დაშენებული ყოფილა ჩუქურ-
თმიანი დიდი ქვა, რომელიც იქვე ძირს ეგდო თავქვე: ეს
ქვა გადმოვაბრუნეთ და აღმოჩნდა მთლიანად მოჩუქურთმე-
ბული, შუაში ჯვარით, გარშემო ჩუქურთმიანი რკალით.
იქვს მხედრული წარწერა: „1882 წ. იოსებ დავითაშვილმა“.
ეს უნდა იყოს გლეხი პოეტი იოსებ დავითაშვილი,
რომელიც ჩუქურთმის მჭრელი და ორნამენტების საუკეთესო
ოსტატი იყო.

ექლესიის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ქვაზე რუსუ-
ლად აწერია: 1882 Года Moisey Kuzmin. ეტყობა, ეს



კუნძულის დავითაშვილთან ერთად მონაწილეობას იქმნებოდა ამ ეკლესიის კარის გამართვასა და ჩუქურთმის ამონტრატორთან

სათიბისხევის გაღმა არის ციხისგვერდა. ეს უნდა იყოს, ვახუშტის აღწერის მიხედვით, ციხია. სოფ. მდებარეობს ძამის ციხის მახლობლად და ამის გამო დარქმევია ამ სოფელსაც ციხისგვერდა. აღვილო ძველი ნასოფლარია. ხშირად პოულობენ მიწაში ჩაფლულ ქვეცრებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს. აქვე არის დანგრეული ეკლესია და ნიშ-სამლოცველოებიც.

ციხისგვერდიდან ძამის გაღმა ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალ მთაზე დიდი ციხეა. ეს ციხე, როგორც აღვნიმნეთ, ვახუშტის არა აქვს მოხსენებული და აღწერილი. ციხის მდებარეობა ძამის სათავეში მოწმობს, რომ ეს უნდა იყოს ძამის ციხე, რომლის მახლობლადაც პატარა სოფელი ძამაა. ეს ციხე საზღვარზე იყო და იცავდა როგორც ძამის ხეობას, ისე ბორჯომ-სურამის მხარეს (ძველი თორი)¹. ამის გამო თორის ერისთავიც დაინტერესებული ყოფილა ძამის ციხის დაცვით. ამას მოწმობს 1300 წელს მომხდარი ბრძოლა ძამის ციხეში, სადაც გამაგრებული იყო ოსთა მთავარი ბაყათარი, რომელმაც ძამის ციხე წაართვა გამრეკელსა კახასძეს (თორელს).

¹ ამ მოსაზრებას, ჩვენ მიერ ისტორიულ მიმოხილვაში მოყვანილს, ქართლის ცხოვრების ცნობაც ამართლებს, დემეტრესა და თეოდოსს შორის ბრძოლაზე ძამის ციხეში. ამ ციხის მახლობლად უნდა ყოფილიყო ძველი საბაჟოც, საიდანაც გზა შემოდის ამ ხეობაში, და არა შიგ ქალაქ მძორეთში, როგორც ვარაუდობს ნ. ბერძენი შვილი (იხ. მისი „უძველესი საბაჟოს მდებარეობისათვის“, გვ. 22).



ამის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ბაყათარ ქაუჩუკის რებდა ქვეყანათა, და კოცდა კაცთა. დაღაცათუ სურმელი ახმადა და რატი ძლიერად ებრძოდეს, მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა კახასძესა ციხე ძამისა. უნა ესე ბეჭამა, მოუხდა დიდითა ლაშქრითა. იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ“¹.


აქედან ირკვევა, რომ ძამის ციხე გამრეკელს წაურთ-მეეთა ბაყათარისათვის მანდატურთ უხუცესის—ბეჭა ჯაყელის დახმარებით. დღეს ძამის ეს ძველი ციხე ნანგრევს წარმოადგენს.

ციხე მაღალ მთაზეა აშენებული, დაფარულია ტყით და გადმოსცერის ძამის სათავის მიდამოს. ციხე ძნელი მისაღვომია: მას გარშემო აკრავს ღრმა ხევები და დასხლეტილი ფერდობები. ასელა შეიძლება სოფ. ძამიდან, მღინარე ძამაზე გადასვლით. შემდეგ იწყება კლდოვანი ქედი და გადადის ტყიანზე.

ციხის ეზო დავაკებულია, არტყია ქვიტკირის მაღალი გალავანი. გალავანი და ციხე ნაწილობრივად დანგრეულია. შიგ ყოფილა საქმაოდ დიდი დარბაზები, არის ღრმა ორმოები (ხარო), კედლებში შერჩენილია ბუხარი და სარკმლები. მნახველს აოცებს ამ ციხე-დარბაზის ნაგებობის სიმკერივე ისეთ სიმაღლეზე, საღაც არ მოიპოვება არც საშენი მასალა და არც წყალი.

ციხე თავისი ნაგებობითა და კონსტრუქციით ძველია,—

¹ „ქართლის ცოვრება“, ტ. II, თბ., 1959 წ. გვ. 317 (ს. ყაუჩიშვილის რედაქციით).

იმავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც აშენდა  რეფორმის შესანიშნავი ციხე. მას შემდგომი პერიოდის განვითარების პრინციპების კვალი არ ეტყობა. აბუხალოს ხეობაში, რომელიც ძამას გვერდინეთთან ერთვის, დაცულია ძველი კოშკი სოფ. კოდმანში. კოშკი მაღალ კლდეზეა აგებული, აბუხალოს ნაპირას. იგი მომრგვალებული ფორმისაა, დაშლილია, დარჩენილი მისი ორი სართული. კოშკის მახლობლად არის ნასოფლარი და ეკლესის ნანგრევი. აქედან გზა მიდის მუხილეთში. აქ ძამას უერთდება მუხილეთისა და ტყემლოვანის წყალი. ამ ხეობით ერთი გზა უხვევს მუხილეთში, მეორე კი ტყემლოვანისაკენ.

მუხილეთში დაცულია საყარაულო კოშკი და ძველი ეკლესია — „ლვის მშობელი“. კოშკი მუხილეთის წყლის ნაპირას მაღალ ბორცვზეა აშენებული. დარჩენილია კოშკის ორი სართული. იგი დანგრეულია 1940 წელს მიწისძვრისაგან.

ძველი ეკლესია საკმაოდ დიდია და მაღალი. შიგნით და გარეთ მოპირკე, ებულია თლილი ქვით. მიშენებული აქვს სვეტებიანი ექვტერი. აქვე არის ძველი ნამოსახლარი.

ტყემლოვანას ჩამოუდის ამავე სახელწოდების წყალი, რომელიც აბუხალოს ერთვის. სოფლის თავზე იდგა გაღმორღვეული ძველი კოშკი, რომელიც მთელ ხეობას დარაჯობდა. სოფელი ტყემლოვანა მოხსენებულია აგრეთვე გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში¹. ვახუშტის ეს სოფელი არა აქვს აღნუსხული და არც მოხსენებული.

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგ. II, თბ., 1941 წ., ს. ჯიქიას რედაქციით, გვ. 93, წიგ., III, თბ., 1958 წ., გვ. 125.

სოფლის ზემოთ ორი კილომეტრის დაშორებით,  დაფარულ ადგილას, არის საყურადღებო ძეგლი—ღვთხილის ეკლესია. იგი ნაგებია ქვიტკირით და მოპირკეთებულია თლილი ქვით, წინა ფასადი კი—მოწითალო ქვით. ეკლესია დიდია, ლამაზად ნაგები. დარბაზული ტიპისაა და გადახურულია ქვაფიქალით. სახურავის ნაწილი ჩაქცეულია. ეკლესიის აღმოსაფლეთის ფასადის არშია შემკულია ვაზის ფოთლის სახეებით, მისი სარკმელი მოჩუქურთმებულია ლამაზი ქართული წნულებით.

ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა; მხატვრობა შერჩენილია საკურთხეველში; გამოსახულია მოციქულები ხელში გრავნილებით, რომელზედაც ასომთავრული წარწერებია ლამაზი ხელით შესრულებული. კანკელი ჰქონია ქვისა, რომლის ლამაზი, ჩუქურთმიანი ნაწილები იქვეა მიყუდებული.

ეკლესიას ფართო ეზო ჰქონია. შიგ მრავალი სხვადასხვა ნაგებობისა და სათავსოს ნაგრძევებია, ჩაფლულია დიდი ქვევრებიც. თავისი ნაგებობითა და ორნამენტებით ეს ტაძარი უნდა მიეკუთვნოს მე-10—11 საუკუნეებს.

ეტყორა, ეს უნდა ყოფილიყო მონასტერი; შესაძლებელია ეს იყოს ქოფიზას მონასტერი, რომლის შესახებ ვახუშტი ამბობს: „არს მონასტერი ქოფიზას, უგუმბათო, კეთილშენი, მთასა შინა, და აშ უქმი“ (გვ. 58). მით უმეტეს, რომ ქოფიზა ვახუშტის თავის რუკაზე ნაჩვენები აქვს იმ ადგილას, სადაც ახლა ტყემლოვანაა.

აბუსალო ლრმა ხევშია მოქცეული. მას ჩამოუდის აბუხალოს წყალი, რომელიც სოფ. ტყემლოვანთან უერთდება ძაბას. აბუხალოს მიდამო ქლდოვანია.

აბუხალო ძველი ნასოფლარია. თუმცა ვახუშტის არა აქვს აღნიშნული ძამის ხეობის სოფლის ნუსხაში, მაგრამ იგი



საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა, რასაც მოწმობს აჭარული ექლესის ნანგრევები. აბუხალოში დაცულია კლდეში გამოკვეთილი სათავსოები (გამოკვაბულები), რომელთა შესახებ ვახუშტი წერს: „კვლავად გვერძინეთ დასავლეთ მიერთვის ხევი აბუხალოსი. აქ არიან ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და ქაცოა შეუვალ სიმაგრით“ (გვ. 58).

ეს კლდე სოფლის დასავლეთ მხარეზეა, რომელსაც აბუხალოს წყალი ჩამოუდის. ხალხი ამ ქვაბულს მონასტერს ეძახის. ამ კლდის ქვედა სარტყელი წიწვიანი ტყით არის შემოსილი, ზემოთ კი—შიშველი კლდეა. ეს ქვაბული მოთავსებულია ორ ფენას ზორის: ქვემოთ—სალი კლდეა, ზემოთ კი—თიხნარი კლდე, რომლის წინა მხარე ისეა ჩამოკვეთილი, როგორც კედელი, ასვლა შესაძლებელია მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან.

აქ კლდეში გამოკვეთილია რვა სხვადასხვა მოცულობის ქვაბული. დასავლეთის მისასვლელი ბილიკი გამაგრებულია მაღალი გალავნით. გამოკვეთილ კლდეში, პირველ ქვაბულთან, გამართული იყო წყარო, რომელიც 1940 წელს მიწის ძერის შედეგად დამშრალა. აქედან შესასვლელი ჯერ პირველ ოთახშია, რომელიც მოცულობით პატარაა, შემდეგ—მეორე ოთახში. ეს ოთახი კლდეშია გამოკვეთილი და გაქვარტლულია. ამ ოთახიდან კარი გადის შესამეში, რომელიც ამოშენებულია აგურით, და აქვს მომრგვალებული ფორმა. შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. ამ ოთახს არა აქვს გასასვლელი. მეორე ოთახიდან გასასვლელია ქვაბულის მოედანზე, რომლის განი უდრის 1,40 მ. მოედნიდან შესასვლელია მეოთხე ოთახ-



ში, აქედან კი—მეხუთე ოთახში. ორივე ოთახი დახურულებული და კედლებში აქვს გამოყენეთილი სათოფურები, რომლებიც მიმართულია აბუხალოს ხეობისაკენ. მეოთხე ოთახი გამოდის ისევ განიერ მოედანზე, სიგანით 8 მეტრია და შედის მეტა-სეში, ესეც დახურულია, სამხრეთის კედელი ამოშენებული აქვს კლდის ქვით, მასში გამოჭრილია საში სათოფური.

ამ ოთახიდან ვიწრო გვირაბი ისევ მოედანზე გადის და შემდეგ შედის მეშვიდე ოთახში, რომლის კედელი აგუ-რისაა, მეოთხე კი კლდეა, მხოლოდ კარგად მოპირკეთებული. ოთახი შელესილია და შეთეთრებული. შიგ გამართულია ქვის გრძელი საჯდომები. ამ ოთახიდან შესასვლელია მერვე ოთახში, რომლის კედლები აგურითაა ნაგები. შიგ კარგად გალესილი და შეთეთრებულია, მხოლოდ ჩამონარეული აქვს სამხრეთის მხარე. ამ ოთახის აღმოსავლეთის კუთხე მომრ-გვალებულია (ნახევარწრე) და მოხატულია სინგურის ფერი სალებავით თეთრ კედელზე შტრიხებით. ეს არის ქვაბულის ექლესია. იგი მოხატულია. კარის მარჯვნივ მხარეზე გამო-სახულია მშენებლობის სცენა, შემდეგ—საქრისტიანო წმინდა-ნები სხვადასხვა პოზაში. ეკლესიის დარბაზის შემდეგი ოთა-ხი ჩაქცეულია და მიუდგომელიც. ამ ქვაბულის გასამართა-ვად, ეტყობა, კლდე სილრმეში გაუფართოებიათ (მისი მოედ-ნის სიგრძე 4—8 მეტრს უდრის) და ამ მოედნის სილრმეში მოუთავსებიათ ეს ოთახები.

ქვაბულები თავიანთი დანიშნულების მიხედვით სხვადა-სხვა მოცულობისაა, ყველაზე დიდია მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქვაბული, რომლებსაც დატანებული აქვს სათოფუ-რები და გამოყენებული იყო თავდაცვისათვის.



აბუხალოს ქვაბული თავდაცვითი ნაგებობა, შემოქმედი
მოსახლეობა თავს აფარებდა განსაცდელის ქაშს. იგი გაძირ-
ნული იყო ხანგრძლივი გარემოცვისათვის და იქ შეხიზნუ-
ლები მომარაგებული იყვნენ წყლითა და სურსათით, აგრე-
თვე შიგვე ჰქონდათ გამართული სამლოცველო (ეკლესია).
ამ თავდაცვითს ქვაბულს ვიწრო გზა ჩაუდიოდა სათიბებში
და ყანებში, საიდანაც თივა და პური შემოქმედნდათ, აღმო-
სავლეთით კი გადასვლა შეიძლებოდა აბუხალოს ხეობაში.
ეს თავდაცვითი ნაგებობა მტრისათვის ძნელი მისადგომი
იყო¹. დღეს მნახველს აოცებს ქვაბულების გამოკვეთის ოს-
ტატობა, მშენებლობის ტექნიკა და იქ შეხიზნულთა გულა-
დობა და მამაკობა. აგურის ნაგებობათა და სამლოცველოს
მოხატულობის სტილის მიხედვით აბუხალოს ქვაბული მიეკუ-
თვნება მე-17—18 საუკ. და გამიზნული იყო უმთავრესად
დაღესტნელი აბრაგებისაგან თავდასაცვად.

ამასთანავე აბუხალო მნიშვნელოვანი სტრატეგიული
ადგილია: აქედან გზა გაღადის გუჯარეთით ბორჯომის ხეო-
ბაში, რასაც ვახუშტიც იღნიშნავს: „აბუხალოს დასავლით
გარდავალს გზა გუჯარეთსო“.

ამგვარად, ძამის სათავეებიდან გზა გადადის: აბუხა-
ლოდან—გუჯარეთ-ბორჯომის ხეობაში, მუხილეთიდან—ატე-
ნის ხეობაში, ძამიდან—ხაშურის რაიონში. სოფ. გვერძინეთ-
თან ეს გზები ერთდებიან და მიემართებიან ძამის ხეობით

¹ მე-18 საუკ. აბუხალო და მძორეთის ციხე ხელში ჩაუგდია ქარ-
თლის ვექილს—გივი ამილახვარს, რომელიც აუჯანყდა ნადირშახს, და
მას აქ თავისი კაცები ჩაუყენებია („ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, სანქტ-
პეტერბუგი, 1854 წ., გვ. 359).

ქარელში, სადაც ძამა მტკვარს უერთდება. ამ ხეობაში თავ-
დაცვითი ნაგებობანიც ამის მიხედვითაა განლაგებული მტკვარის
შემოსული მტრებისაგან ხეობა დაეცვა. ძამის შენაკადები
გამაგრებული იყო კოშკებით (მუხილეთის, ტყემლოვანის,
კოლმანის, გვერძინეთისა და სხვა). ძამის მთავარი მაგისტრა-
ლი კი გამაგრებული იყო სამი დიდი ციხით: ძამის სათავეს-
თან—ძამის ციხით (ციხისგვერდა), შუა წელთან—მძორეთის
(ორთუბნის) ციხით, ძამის მტკვრის შესართავთან—სამწევ-
რისის ციხით. ძამის სათავეებიდან შემოჭრილ მტერს პირ-
ველად ძამის ციხე შეებრძოლებოდა, შემდეგ—მძორეთის ციხე,
უკანასკნელად კი სამწევრისის ციხე ეკვეთებოდა. თუ მტერი
ამ ციხეებს აიღებდა, მას გზა გახსნილი ჰქონდა გორის ცი-
ხისაკენ, რომელიც თბილის სამხრეთ-დასავლეთიდან შემო-
სეული მტრებისაგან იცავდა.

* * *

აქ აღნიშნული მატერიალური კულტურის ძეგლებთან
ერთად ყურადღებას იქცევს აქაური საფლავის ლოდები,
რომლებზედაც გამოსახულია ხალხის ყოფის დამახასიათებე-
ლი სურათები. მათი შესწავლა საშუალებას იძლევა ახლოს
გავეცნოთ ხალხურ შემოქმედებას.

აქაურ საფლავის ქვებს ამზადებენ სოფ. გვერძინეთში.
ლოდებზე მიცვალებულის სახეა გამოსახული დამახასიათე-
ბელი ატრიბუტებით: დამკვრელები—ხელში დაირითა და
გარმონით, მეზურნეები—ზურნით, მეცხვარე—კომბლით, მე-
რავი—საკერავი მანქანით. კარგად არის აგრეთვე გადმოცე-
მული დამახასიათებელი ტანთჩაცმულობა და სხვ.

შრომა-საჭმიანობა

აქაური გლეხობა უმთავრესად მემინდვრეობას მისდევდა, ნაწილობრივად კი—მესაქონლეობასაც. ამას ხელს უწყობდა კარგი სახნავ-სათესი ადგილები და სათიბები. ითესებოდა ხორბალი და ქერი. მევენახეობა-მებაღეობას ძამის ხეობაში არ ეწეოდნენ,—ამას ხელს უშლიდა ადგილობრივი პირობები და აგრეთვე მოსახლეობის ჩამორჩენილობა მეურნეობის მხრივ.

ძველად ფეოდალები კმაყოფილდებოდნენ მარტოლდენ ლალის მიღებით და სულაც არ ზრუნავდნენ მეურნეობის განვითარებისათვის. გლეხობაც მიწას პრიმიტიულად ამუშავებდა—ბარად ხნავდნენ გუთნეულით, მთაში კი—კავ-აჩაჩით. ჭირნახულიც უხარისხო მოჰყავდათ და გლეხობას სარჩო წლის ბოლომდე არ ჰყოფნიდა. ნიადაგი არ ირწყვებოდა, გლეხობა ცას შესცემოდა: ამინდზე იყო დამყარებული მათი ჭირნახული და მოსავლიანობა. ბუნების მეტი ნაყოფიერება რომ მიეღო, ცრუმორწმუნე გლეხობა ძველად სხვადასხვა წეს-საც კი ასრულებდა. ასეთი იყო, სხვათა შორის, ბერიკობა და ყეენობა. ყეენობა სამწევრისში იცოდნენ დიდმარხვის პირველ კვირას. ყეენად ირჩევდნენ ახალ ნეფეს, რომელ-
4. ს. მაკალათია.



საც სოფელში ჩამოატარებდნენ დიდი ზეიმითა და ცეკვების მაშით. ბოლოს ორი სოფლის ყეენს მღინარეში ერტმენეტშა დააკიდებდნენ; რომელიც წააქცევდა, ის სოფელი იქნებოდა გამარჯვებული და მეტი ჰირნახულიც იქ მოვიდოდა. ყენ-თან ერთად წყალში ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ მათი მხლებ-ლებიც.

გვალვის დროს აკეთებდნენ ლაზარეს (დედოფალას). მას ჩასდებდნენ წყლიან ჯამში და გოგოები სოფელში კარ-დაკარ ჩამოატარებდნენ, თან მღეროდნენ: ღმერთო მოგვეც ტალახიო, აღარ გვინდა გოროხიო. შემდეგ დედაკაცები შეებმებოდნენ გუთანში, ერთ-ერთი მათვანი გუთნის დედა იყო. შევიდოდნენ მღინარეში და ხნავდნენ, თან ერთმანეთს წუწავდნენ და იძახოდნენ: ავდარი მოვიდაო!

აქაური მოსახლეობა ცხოვრობდა ბანიან სახლებში, რომლებიც მიწური, ბნელი და შინამოწყობილობით ღარიბული იყო. ხალხს გონებრივი განვითარებისათვის არავითარი პირობები არ ჰქონდა: არ იყო სკოლები. დიდმა უმრავლე-სობამ წერა-კითხვა არ იკოდა და გაუნათლებელი მოსახ-ლეობა ეკლესია-მონასტრებს ეტანებოდა, საღაც იმართებოდა დღეობა-ხატობები. აქ სხვადასხვა რელიგიურ წესებს ასრუ-ლებდნენ,—იყო სიმღერები, დოლი, ბურთაობა და სხვადა-სხვა სახალხო გართობანი. ასეთი დიდი ხატობა ძამის ხეო-ბაში ეწყობოდა სარკის წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომე-ლიც აშენებულია მაღალი მთის დავაკებაზე და მთელი შუა ქართლის მიდამოს გადასცემის. ქარელიდან სარკემდე დაახლოებით 10 კილომეტრია. ეკლესია გუმბათიანია, ნაგე-ბია კლდის ქვით, საღაა და უორნამენტო...

ასეთი იყო გლეხვაცის ბედი ვაშინ, მაგრამ საბეღნიეროდ, /
ლილი ხანია დავიწყებას მიეცა ყოველივე ეს და ოქტომბერის
დიღმა სოციალისტურმა რევოლუციამ ძამის ხეობის მშრო-
მელი გლეხობა გაათავისუფლა მემამულე ციციშვილებისაგან. /
მიწა, რომლისთვისაც გლეხობა იბრძოდა, მას გადაეცა და
ახლა გაჩაღებულია საკოლმეურნეო მშენებლობა.

აქაურმა სოფლებმა სახე იცვალეს. მათი მშენებლობა
გეგმიანია და სოფლები კოხტად გამოიყურებიან. ძველი ბა-
ნიანი სახლები შეცვალეს კეთილმოწყობილმა ქალაქური
ტიპის სახლებმა, რომლებსაც ამშენებენ განიერ კარ-ფანჯრი-
ანი ლამაზი აივნები.

სახლის შინამოწყობილობაც ქალაქურია: ძველი ტახ-
ტები და ჭილობები შეცვალეს რკინის საწოლებმა, ვენურმა
სკამებმა, ხალიჩა-ფარდაგებმა და ოდესის ჩამორჩენილი
ძამის ხეობის სოფლები თუ დაბები, ჩვენი პარტიისა და
მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, ილიჩის ნათუ-
რებმა ააკიაფეს, ხოლო ამ მხარის სოფლის მეურნეობის მუ-
შაკების—ინტელიგენციისა და კოლმეურნე გლეხობის შრო-
მითი საქმიანობა საყოველთაოდაა ცნობილი.

ძველებური ტანთჩაცმულობაც შეცვლილია: ყველას
აცვია ქალაქურ ყაიდაზე შეკერილი ტანისამოსი. შრომა-
საქმიანობა ტექნიკურად გაუმჯობესდა,—სოფლის მეურნეო-
ბა შექანიზებულია, რაც კოლმეურნეს, შრომის შემსუბუქე-
ბასთან ერთად, შრომის ნაყოფიერებასაც უზრდის.

ძამის ხეობის ქვემო ნაწილის კოლმეურნეობა უმთავ-
რესად მემინდვრეობას ეწევა,—თესენ პურს, ქერსა და სი-
მინდს. ადგილი ნაწილობრივად სარწყავია. უკვი სმარებიდან

90

გამოსულია ხის გუთნები და ხარ-კამეჩები: ხვნა-თესვა 90°-ით
მექანიზებულია, განვითარებულია აგრეთვე ტრანსპორტული მექანიზები.



სურ. 10. პურის ლეჭვა კომბაინით.

ყანები ნოკიერდება მინერალური და ორგანული სასუკით, აწარმოებენ თესლის შერჩევას, თესლის ბრუნვასა და სხვა. ყველაზე მოწინავე ქარელისა და ზღუდერის კოლმეურნეობებია.

ზღუდერს ზევით ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას, რომლის განვითარებას ხელს უწყობს მდიდარი საძოვრები. აქვთ კარგი ფერმები, საღაც ამზადებენ რძის ნაწარმს: ერბოს, ყველს, კარაქს და სხვ.

სოფლები კეთილმოწყობილია, გამოყვანილია წყაროები, გზები მოკირწყლულია, კარ-მიდამოები—გამწვანებული და სხვა.

სანებელში აშენებულია ელსადგური (ძამპესი), მომზადებელიც ანათებს მთელი ხეობის მოსახლეობას.

სწავლა-განათლების მხრივაც ეს ხეობა დაწინაურებულია: აქვთ ორი სტული საშუალო სკოლა—ქარელსა და ზღუდერში. 7-წლიანი სკოლა—6, ოთხწლიანი კი—15. საკმარისად არის გაშლილი კლუბებისა და სამკითხველოების ქსელი: ხეობაში სამი კლუბი და შვიდი სამკითხველოა. აქვე ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრე. კლუბებში კვირაობითა და სადღესასწაულო დღეებში იმართება კინოსეანსები. ცეკვა-თამაშობანი, ფეხბურთი, ჭიდაობა და სხვა სანახაობანი. თვითმოქმედი წრეები ხელს უწყობენ კულტურული ჩვევების დანერგვას მოსახლეობაში. თუ წინათ ხალხი ხატობა-დღეობებით იყო გონიერადახშული,—დღეს იგი ერთობა დრამატული წარმოდგენებითა და კინოსურათებით.

ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და დახმარებით ძამის ხეობის მშრომელი მოსახლეობა დღეს დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში ჩვენი ნათელი მომავლის—კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

වාචනය

	පිටපත
සාමීක්ෂණික ව්‍යෙනයිල් මූල්‍ය-ව්‍යෙනයිල්‍ය විවෘතියා	3
මාලුරු නාලුරු කුළුලුරු මූල්‍යයිල්	15
ශරීමා-සාය්‍යමානිකධා	49

რედაქტორი ირ. არაბული
 მხატვარი დ. დუნდუკ
 მხატვ. რედაქტორი გ. გორდელაძე
 ტექნიკური რედაქტორი ნ. ლომინგი
 კორექტორი ა. არობელიძე

ტელმოწერილია დასაბეჭდად 30/111-61 წ.
 ქაღალდის ზომა $70 \times 108 \frac{1}{32}$.
 საალ-საფამომც. თაბახი 1,87.
 ნაბეჭდი თაბახი 2,87. საავტორო თაბახი 1,8
 უ 00362 ტირაჟი 3000 შეკ. № 50
 ფასი 10 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
 Типография № 4, Тбилиси, Медгородок



Серги Иосифович Макалатия

Дзамское ущелье

(на грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвелов»
Тбилиси
1961

